შ. ამირანაშვილი

ქართული რელიეფური ქანდაკების უძველესი ნიმუში

ქართული წერილობითი წყაროები ერთხმად მოგვითხრობს, რომ ძველათ საქართველოში, ქრისტიანობის დამკვიდრების წინა ეპოქაში, არსებობდა ღვთაებათა გამოსახულება ქანდაკების სახით.

უძველეს ქართულ მატიანეს „მოქცევა ქართლისაჲ"-ს ცნობით, როდესაც ქართველები თავიანთ პირვანდელ სამშობლოდან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლდნენ, მათ „თანა ჰყუანდეს კერპნი ღმერთად გაცი და გაიმ" (Е. Такайшвили, Опис. рукоп., т. II, стр. 709). წმიდა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორის ცნობაც ამავე ფაქტს ადასტურებს. მირიან მეფეს წმიდა ნინოსათვის ამ ღვთაებათა შესახებ შემდეგი უთქვამს: „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი: გაცი და გა" (Опис. II, გვ. 769). ამავე მატიანეს ცნობით არმაზის კერპის თაყვანისცემა შემოულია ფარნავაზს, „ადინინა"-ს კერპის—საურმაგს, „დანინას"—მირვანს და „ზადენისა" ფარნაჯომს (Опис., 09).

ლეონტი მროველს არმაზის კერპის აღმართვის შესახებ ნათქვამი აქვს: „ამან ფარნავაზ... შექმნა კერპი დიდი სახელზედა ზედა თჳისსა: ეს არს არმაზი და ფარნავაზ სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთჳს და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთჳს აღმრთებულისა"-ო (ც'ა მ'ფთა *130, გვ. 21). წმიდა ნინოს ცხოვრებაში დაცულია არმაზის კერპის გარეგნული სახის აღწერილობა, რომელსაც გადმოგვცემს თვით წმიდანი „ვიხილე და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ: და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჳ: ოქროჲსა: და ჩაფხუტი ოქროჲსა: და სამჯარნი ესხნეს: ფრცხილი და ბივრიტი და ჴელსა მისსა აქუნდა ჴრმალი ლესული: რომელი ბრწყინვიდა და იქცევოდა ჴელსა შინა რეცა თუ: რომელი შეეხებინ თავი თჳსი სიკვდილ განიწიროს... და მარჯულ მისა დგა კერპი ოქროჲსა: და სახელი მისი გაცი: და მარცხლ მისა კერპი ვეცხლისაჲ: და სახელი მისი: გა: რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქუენთა არიან ქართლით" (Опис., II, გვ. 752).

ქართული წარმართული პანთეონის დადგენა და მისი მეცნიერული შესწავლა იპყრობდა და იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. ამ საკითხის პირველი მკვლევარი აკადემიკოსი ნ. მარი (Н. Марр, Боги языческой Грузии по древне-груз. источникам—ЗВОРАО, т. XIV, 1902, в. 3—4) არმაზის კულტისა და კერპის არსებობას რეალურ ისტორიულ ფაქტად სთვლიდა, ხოლო ღვთაებათა გაცი-სა და გა(გაიმ)-ის კულტისა და გამოსახულებათა არსებობა საეჭვოდ მიაჩნდა (Н. Марр, op. cit., გვ. 21).

აკად. მარი ქართულ საისტორიო წყაროებში მოყვანილ ცნობებს ა ღვთაებათა შესახებ მწიგნობრული გზით შემოსულად სთვლის (Н. Марр; op. cit., გვ. 21).

აკად. ივ. ჯავახიშვილი აგრეთვე ამავე შეხედულებისა იყო გაცის და გა ღვთაებათა წარმოშობის შესახებ. ხოლო რაც შეეხება არმაზს, იგი ამბობს შემდეგს: „არმაზის შესახებ ცნობებს რომ სპარსულ აჰურამაზდასთან სახელის მეტი საერთო არაფერი აქვს, ეს უცილობელია“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 97).

მ. წერეთლის შეხედულებით კი იმ ცნობათა მიხედვით, რომელიც მოიპოვება წმიდა ნინოს ცხოვრებაში არმაზის კერპისა და მისი თვისებების შესახებ ქართველთა არმაზი ერანული აჰურამაზდა კი არ იყო, არამედ „მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა, წვიმისა და ელვა-ჭექისა“ (მ. წერეთელი, op. cit., გვ. 79—84)*.

მართლაც, წმიდა ნინოს ცხოვრების ავტორის სიტყვით მირიან მეფეს წმიდა ნინოსათვის უთქვამს შემდეგი: „აჰა ესერა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქუეყნისა ნაყოფთა განმზრდელნი ქართლისა იგი ღმერთნი არმაზ და ზადენ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა (Такайшвили, op. cit., გვ. 769).

მ. წერეთელი ამ ტექსტის მიხედვით დაასკვნის, რომ აქ მოხსენებულია მცირე აზიის ღმერთი ცისა და სინათლისა, ატმოსფერისა—წვიმისა და ელვა-ჭექისა არმაზ-თეშიუბ და მცირე აზიისავე ღმერთნი ნაყოფიერებისა და მცენარეულობისა ზადენ=Sandan, Santas (მ. წერეთელი, op. cit., გვ. 84).

აკად. ივ. ჯავახიშვილი (op. cit., გვ. 102) დიდს მეცნიერულს სიფრთხილეს იჩენს და თავს იკავებს ისეთი კატეგორიული ხასიათის მქონე დასკვნისაგან, რომელიც მოყვანილი აქვს მ. წერეთელს. მისი აზრით ზემოთ მოყვანილი ტექსტი წმიდა ნინოს ცხოვრებიდან ზოგადი ხასიათისაა და არ გვაძლევს საფუძველს ზუსტად დავადგინოთ თუ რომელი თვისება ეკუთვნის არმაზის ღვთაებას, რომელი მიეკუთვნება ზადენს. მისი აზრით, ამ თვისებათა განკუთვ-

* ქართული წარმართობის შესახებ იხ. შემდეგი ლიტერატურა:

1. Н. Я. Марр, Боги языческой Грузии по древне-грузин. источникам—ЗВОРАО, т. XIV, 1902, в. 3—4.

2. დ. კარიჭაშვილი, ქართული მატიანის წარმართი ღმერთები. გაზ. „თემი“ 1912 № 65. რეც. А. Шанидзе «Христианский востока», т. II, 1913, стр. 254.

3. O. G. von Wesendonk, Über georgisches Heidentum, L. 1924.

4. მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინეპოლი, 1924.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი, 1928, გვ. 33—136.

6. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, ითრეჯანი—ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936, გვ. 123—127.

7. Л. Меликсет-Беков, Армази — историко-археолог. очерк Тбилиси, 1938, 38—44. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი.

ნება იმ სახით, რომელიც მოყვანილი აქვს მ. წერეთელს თავის ნაშრომში დასკვნის მიღება (op. cit,. გვ. 102) „მკვლევარის ერთგვარ თვითნებობას, რომელიც ეგების მომავალში სწორეც გამოდგეს, მაგრამ რომლის გასამართლებლად ამჟამად უთუო საბუთი არ არსებობს“.

აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს (იხ. ქართველი ერის ისტორია, გვ. 98), რომ „ქართველი ხალხის არც ერთი თემის მეხსიერებასა და რწმენას არმაზი, ვითარცა ღვთაება, ან გმირი, ან და ხატი, არ შერჩენია იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ ერს მაზდეიანობის არა ერთი სხვა ნაშთი აქვს შერჩენილი. როგორ მოხდა რომ სხვა, უფრო წვრილმანიც-კი, ხალხმა შეინარჩუნა, არმაზი-კი სრულებით დაივიწყა, თუ იგი მართლა IV ს-ში ქართველთა მთავარ ღვთაებად და კერპად ითვლებოდა?“..

ბოლოს და ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში არმაზის კულტის არსებობის ერთადერთ, თითქოს სანდო გარეგნებად მხოლოდ გეოგრაფიული სახელის „არმაზ-ციხეს“ არსებობა – ღა რჩება. მაგრამ ამის მიხედვით არავითარი ეფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ არმაზის კერპიც არსებობდა . . . ძველ წყაროებში ამის დამადასტურებელი ცნობის უქონლობა და ხალხურ რწმენაშიაც, რომ არმაზი არც ღვთაებად, არც ძლიერ გმირად არსადა ჩანს, ასეთ შესაძლებლობას მეტად სათუოდ ჰხდის...

ყველა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებისა გამო არმაზის შესახებ წმიდა ნინოს შატბერდისეული ცხორების ცნობებით სარგებლობა სახიფათოდ მიმაჩნდა და ეხლაც, მ. წ ე რ ე თ ლ ი ს გონებამახვილი კომენტარიების შემდგომაც, ისევ მაინც სიფრთხილეს ვრჩობ“ (გვ. 101).

სურ. 1. სტელა ღვთაების გამოსახულებით აღბულახიდან.

მიუხედავად ამისა ჩვენს საისტორიო წყაროებში დაცულია ისეთი ცნობები, რომელთა ანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება არმაზის ღვთაების ვინაობის დადგენა. წმიდა ნინოს ცხოვრებაში მოთხრობილია რომ არმაზისა და ითრუჯან ღვთაებათა შორის მტრობა არსებობდა: „ეგე არმაზ და

ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლადვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუ-აჲ მოადგინის: და მან ამის ზედა ერთი ნურაჲმე მოაწიის ვითარცა ‘ჴქუხ’ ჩუე ლებაჲ სოფლის მპყრობელთა“ (Опис. II, გვ. 769),

... და მან ამას ზედა ესეთი დამჴობაჲ მუაწია“ (იქვე, ჰელიშური ვარიანტი). ასეთივე ცნობა მოყვანილი აქვს ლეონტი მროველსაც (ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 73, 88), ამ ცნობათა მიხედვით არმაზი და ითრუშანა (ითრუჯან) მტრებია; არმაზმა ითრუშანზე მიუშვა ზღვა, სამაგიეროდ ითრუშანმა მოაწია დამხობა, ე. ი. მისი კერპის დალეწვა და შემუსრვა. ამ ცნობათა სწორი ანალიზი ლა ითრუშანის ღვთაების ვინაობის საბოლოო დადგენა ეკუთვნის აკად. კ. კეკელიძეს. მისი აზრით ზემოთ მოყვანილი ტექსტი ამტკიცებს, რომ ითრუშანი (ითრუჯანი) უნდა მივიჩნიოთ ისეთი სტიქიონის ღვთაებად, რომელიც წყლით შეიძლება მოსპობილ იქნას, ესე იგი ცეცხლის ღვთაებად (კ. კეკელიძე, op. cit., გვ. 125). თვით ამ ღვთაების სახელწოდება უფრო სწორად დაცულია წმ. ნინოს შატბერდულ ცხორებაში „ითრუშან“, ვიდრე ჰელიშურში („ეთრუჯანი“) და ლეონტი მროველის თხზულებაში (ითრუჯანი). აკად. კ. კეკელიძე სავსებით სამართლიანად უარყოფს ამ ღვთაების სახელწოდების ეტიმოლოგიას, რომელიც პირველად მოყვანილი ჰქონდა მ. ბროსეს, შემდეგ აკად. ნ. მარსა და მ. წერეთელს. მისი აზრით, სახელწოდება „ითრუშან“ „ქართულ ნიადაგზე ფონეტიკურად სახეშეცვლილი ფალაური „ატრუშან“— „ატროშან“—ცეცხლი, უნდა იყოს (კ. კეკელიძე, op. cit., გვ. 125).

წმიდა ნინოს შატბერდულ ცხორებაში მოყვანილია ცნობა, რომ ქართველები შიშს გამოსთქვამენ ვაი თუ ებრაელთა ანუ მზის მსახურთა მოგვთა სიახლოვით რაიმე დაეაკლოთ არმაზის დიდებასაო „და იტყჳნ: ვაჲ თუ დასადაეაკლო რაჲ დიდებასა დიდისა ღმრთისა არმაზისსა: და შერასმევცთე სიტყუასა: ებრაელთა თანა: გინა მოგუთა სმენასა ოდენ: დახუდომილ ვიყო: მზის მსახურთა: და რომელნიმე იტყჳან უცებნი დიდსა ვისმე ღმერთსა ცათასა: და ნუ ეკუე პოვოს რაჲმე ჩემთანა ბიწი: და მცეს მახჳლი მისი: რომელსაგან ეშინის ყოველსა ქუეყანასა და შიშით თაყუანის სცემდეს ყოველნი“ (Опис. II, გვ. 752).

ქართული საისტორიო წყაროები ერთხმად ამტკიცებენ, რომ არმაზი არის წმინდა ქართული ეროვნული ღვთაება. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის ცნობა, რომელიც დაცულია ლეონტი მროველის თხზულებაში. ფარნაჯომ მეფემ უღალატა ეროვნულ სარწმუნოებას, განუდგა მას და „შეიყვარა სჯული სპარსთა. ცეცხლის მსახურება, მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი და დასხნა იგინი ადგილსა მას, რომელსა აწ რქჳან მოგუთა.

ამისთჳს მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდათ კერპთა მიმართ. მაშინ შეეიქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქვეს: მეფე ჩუენი გარდა და სჯულსა მამათა ჩუენთასა, აღარ მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და შემოიღო სჯული დედული, აწ აღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა“ (ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 24—25).

როგორც ნათლად ჩანს, ლეონტი მროველი არმაზს ქართულ ეროვნულ ღმერთად სთვლის, ცეცხლის თაყვანისმცემლობას კი უცხო კულტად აღიარებს.

ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკული შესწავლა ამტკიცებს, რომ ქართული წარმართობის ზოგადი სურათი ისტორიულ სინამდვილეს საკმაოდ სწორად ასახავდა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აკად. ნ. მარის დასკვნას «у авторов жития св. Нины, Обращения Грузии и грузинских летописей не было никаких, даже смутных представлений о стародавнем родном грузинском язычестве, что в их время... родное язычество вполне было вытеснено из памяти иранским культом» (Марр, op. cit., стр. 12). აკად. ნ. მარი არ-ჩევს რა ორმაზის კერპის გარეგნული სახის აღწერილობას, რომელიც მოცემულია წმ. ნინოს ცხოვრებაში და ამტკიცებს „что автор этого описания воспользовался внешними более или менее известными ему аттрибутами мага-жреца и с этими аттрибутами создал для Армазда особого идола, без чего и язычество-то грузинское не имело бы столь богопротивного вида. Для этого барсома или паяица, и та, и другая—один из аттрибутов магов (Spiegel, Eranische Alterthumskunde, III. S. 560, 590), могла быть обращена в отточенный меч идола; шлем с наплечниками для идола мог получиться из тиары мага с ниспадающим забралом для открытия губ и щек, о которой говорят Страбон и Павзаний, кн. V, 27, 6 (Spiegel, op. cit., стр. 542)“.

სურ. 2. სტელა ღვთაების გამოსახულებით ალბულახიდან.

ამგვარი განმარტების დასაბუთება საკუთარი ორ ორის დამაჯერებელი. არ-მაზის კერპის გარეგნული სახე და კულ-

ტის ის ნიშნები, რომელიც აღნიშნულია მატიანეში, მოწმობს, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ირანულ მაზდეიანობასთან. ქართული საისტორიო წყაროებისა და ირანულ მაზდეიანობის მასალების შესწავლა არკვევს, რომ არმაზის ღვთაების კულტს არავითარი კავშირი არა აქვს ირანულ აჰურამაზდას ღვთაებასთან.

ირანულ მაზდეიანობის მასალების გაცნობა, ავესტაში დაცული ტექსტები, სადაც კი მოხსენებულია აჰურამაზდა, ადასტურებს, რომ ამ ღვთაების წარმოდგენა ანთროპომორფიული სახით ყოვლად შეუძლებელი იყო. ირანულ რელიგიურ წარმოდგენაში აჰურამაზდას არ ახასიათებს ანთრომორფიული ხასიათის ნიშნები, როგორიც ასე ჭარბადაა მოცემული მითრასა და ანაჰიტის ღვთაებათა კულტში. აჰურამაზდას ირანულ ხელოვნებაში ისეთივე განყენებული ხასიათის თვისებებით აღნიშნავდნენ, როგორც რელიგიურ ქრისტიანულ ხელოვნებაში აღნიშნავდნენ სამების პირველ პირს—მამა ღმერთს. აჰურამაზდას ღვთაების ნიშანი იყო ფრთოსანი მზის წრე, რომლის წინ ვედრების პოზაში გამოსახულია დარიუს მეფე ბეჰისთუნის ძეგლზე (Sarre und Herzfeld, Iranische Felsrelief Taf. V). სასანური ხანის ირანულ ხელოვნებაში აჰურამაზდას გამოსახულება ცნობილია, თანახმად საერთოდ მიღებული აზრისა, არა ერთხელ რელიეფებმე, რომლებიც გამოსახავს მეფის ინვესტიტურას ღვთაების მიერ. ნაუშ-ი-რუსთამის რელიეფზე (Sarre und Herzfeld, op. cit., Taf. V) გამოსახულია სასანიანთა გვარის პირველი მეფე ართაშირი (226—242 წ.), რომელსაც სამეფო ნიშანს (გვირგვინს) უბოძებს თვით ღვთაება. ორივე მხედარი გამოსახული არიან პირისპირ, სამეფო სამოსელში და ყველა სათანადო ატრიბუტით, ხოლო ღვთაების გამოსახულება ოდნავ უფრო დიდია ვიდრე მეფის. ფალაური წარწერა სწორედ იმ ადგილას, სადაც ღვთაების სახელი უნდა იყოს აღნიშნული. დაზიანებულია, როგორც ეს აღნიშნული აქვს (Thomas Sasanian Inscriptions, London, 1868, p. 19) ღვთაების სახელწოდება, რომ კიდეეაც ზუსტად იყოს დასახელებული, საკმარისი არ იქნება, ვინაიდან საჭიროა გამორკვევა რა კონტექსტშია იგი მოხსენებული. სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს Herzfeld-ის მონოგრაფია (Paikuli-ს ეპიგრაფიკული მასალების შესახებ), სადაც მოცემულია ყველა წარწერის ახალი წაკითხვა. ყოველ შემთხვევაში სხვა უფრო გვიანდელი ხანის ლიტერატურის მიხედვით არა ჩანს, რომ იმ წარწერის ამოკითხვა, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს, არ არის შეცვლილი. ნაუშ-ი-რუჯაბში გამოსახულია შაფურ I (242--272) ართაშირის ვაჟისა და მემკვიდრის ინვენსტიტურა (Sarre und Herzfeld, op. cit., Taf. XIII) იმავე პოზაში, სათანადო ნიშნებით, როგორც პირველ ძეგლზე. შაფურში დაცულია იმავე შინაარსის რელიეფი, რომელზედაც გამოსახულია ბაჰრამ I-ის (273—277) მიერ ინვესტიტურის მიღება (Sarre und Herzfeld, op. cit. Taf. LXI). აჰურამაზდას გამოსახულებას ამ ორივე დასახელებულ რელიეფზე წარწერა არა აქვს. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ერთ შემთხვევაში, რომელიც იყო ზემოთ მოყვანილი, თუ მხედველობაში მივიღებთ ართაშირის რელიეფის წარწერის დაუდგენლობას, ჩვენ არ უნდა გვქონდეს აჰურამაზდას გამოსახულება: ირანული რელიგიური წარმოდგენის თანახმად შეუძლებელი იყო აჰურამაზდას გამოსახვა სამეფო სა-

მოსელში და სათანადო ნიშნებით. ამიტომ სამეფო ნიშნის მიმნიჭებელი გამოსახულების ვინაობა უნდა იქნას გამორკვეული.

სასანიანთა გვარის მეფეები თავის გვარს ღვთაებრივი წარმოშობისად სთვლიდნენ ერთი ტრადიციის მიხედვით, როგორც ეს დადგენილი აქვს Herzfeld-ს[1]. იმავე მეცნიერის აზრით sāsān-ი, რომლის სახელიდან ნაწარმოებია გვარის აღმნიშვნელი ტერმინი sāsānakan, არის ტიტულის განსაბიერება და არა რეალური პიროვნება; ავესტაში იგი ცნობილია sāstar-ის ფორმით და აღნიშნავს სატრაპს, მეთაურს. ეს სიტყვა მისივე აზრით არის მიდიური წარმოშობის; ძველ სპარსულში ნათესაობით ბრუნვაში იგი მიიღებს შემდეგ ფორმას sāsθ, საშუალ სპარსულში კი sās, აქედან sāsan—სატრაპი, მეთაური (Herzfeld, op. cit., p. 77—78). ერთი სიტყვით, სასანიანთა გვარის სახელწოდება მომდინარეობს ძველი ირანული წყაროდან, რომელიც აქემენელთა ეპოქას მიეკუთვნება. სასანიანთა გვარის პირველი მეფენი, უპირველეს ყოვლისა ართაშირი (206 — 242 წ.) ცდილობს მიბაძოს აქემენიდებს; ართაშირის მონეტები ბაძავენ მიტრიდატ II მონეტებს, რომელმაც აღადგინა აქემენიდების ტიტული. იგი ცდილობდა დაემკვიდრებინა აქემენიდების ტრადიცია. აქემენიდების სახელი და მთელი ეპოქა ამ დროს წარმოადგენდა ირანული ეპოსის მთავარ მოტივს. ეპოსი მხოლოდ ზოგადად ეყრდნობა ისტორიულ ტრადიციას. იგი იცნობს Bahman-ს (დარიუსის მამას) და Dāra-ს. ვინაიდან ართაშირის ვაჟს Dāra ეწოდებოდა, ამიტომ მოგვიანო ტრადიციამ Bahman-ი და ართაშირი გააერთიანა ერთს პიროვნებაში და Dāra-ს მამა აღიარებული იქნა სასანიდების წინაპრად. ჰერცფელდის აზრით ორივე სახელი Bahman-ი და Dāra ნასესხი იყო ეპოსიდან და შემდეგ შეტანილი გადმოცემაში სასანიანთა გვარის აქემენიდური შთამომავლობის შესახებ (Herzfeld, op. cit., p. 77). სასანიდების წინაპარი უნდა იყოს გამოსახული ნაყში-რუსთამისა და შაფურის რელიეფებზე მეფის რეგალიებით შემკული და არა ღვთაება აჰურამაზდა. გაღმერთებული წინაპარი, წარმოდგენილი მეფის ტანსაცმელში და სათანადო სამეფო ნიშნებით აწვდის გვირგვინს ახლად ტახტზე ასულ მეფეს. ამრიგად, ჩვენი აზრით, ზემოთ გარჩეულ სასანურ რელიეფებზე უნდა იყოს გამოსახული სიმბოლური და არა რეალური სიუჟეტი მეფის ხელდასმისა და გვირგვინის კურთხევის არა აჰურამაზდას მიერ, არამედ სასანიანთა გვარის გაღმერთებული წინაპრის მიერ.

სურ. 3. მთვარის ღვთაების გამოსახულება იასილი-ყაიფეებიდან.

როგორც ირკვევა ზემოთქმულიდან, აჰურამაზდას გამოსახვა ირანულ ხელოვნებაში მხოლოდდამხოლოდ სიმბოლური ნიშნით იყო მიღებული. ამ

[1] Herzfeld, Archaelogical history of Iran, L. 1934, p. 7—8.

ღვთაების წარმოდგენა რეალურ ანთროპომორფული სახით შეუძლებელი იყო. ამიტომ ჩვენი აზრით ყოვლად შეუძლებელია არმაზის ღვთაების გამოსახულების დაკავშირება აჭარამაზდასთან. პირიქით, არმაზის კერპის აღწერილობა ისეთი სიზუსტითაა და გარკვეული დამახასიათებელი ნიშნებით მოცემული წმ. ნინოს ცხოვრებაში, რომ სულ სხვა დასკვნას გვაძლევს. უპირველეს ყოვლისა არმაზის ღვთაების კერპი ზემოთ მოყვანილ აღწერილობის მიხედვით გამოსახავს მებრძოლს, მხედარს, რომელსაც ტანს აცვია ოქროს აბჯარი, თავზე ხურავს ოქროს ჩაფხუტი და ხელში უჭირავს „ჯრმალი ლესული". თვით ქანდაკება ყოფილა სპილენძიდან დამზადებული. აღწერილობის ის ვარიანტი, რომელიც დაცულია წმიდა ნინოს ჰელიშურ ცხოვრებაში და შეიცავს მეტად საყურადღებო ცნობას: „და თვალნი ვითარცა ვეცხლი და ბივრიტი" (Оп. II, გვ. 752). ტექსტის ეს ადგილი გასაგები იქნება ჩვენთვის თუ მოვიგონებთ, რომ ძველი ალმოსავლეთის ქანდაკებებში, მოყოლებული სუმერული ეპოქიდან, გავრცელებული იყო თვალების ჩასმა სხვა მასალიდან, ხშირად ხმარობდნენ ძვირფას ქვებს. არმაზის სპილენძის ქანდაკებას ამ აღწერილობის მიხედვით ჰქონდა თვალის კაკალი ბივრიტისა, ხოლო გარსი ვეცხლისა. ამ აღწერილობაში უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მოქანდაკეს დაუმზადებია არმაზის გამოსახულება სხვადასხვა მასალიდან; მან გამოიყენა სპილენძი, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები. აღსანიშნავია, რომ გაცის ქანდაკება ყოფილა ოქროსი, ხოლო გა-ს გამოსახულება ვერცხლისა.

ქანდაკების დამზადებაში სხვადასხვა მასალის გამოყენება, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი მოვლენაა ხალდურ ხელოვნებაში. ბერლინის მუზეუმში ბრინჯაოს ქანდაკება ხალდური წარმოშობის, რომელიც დამზადებულია ბრინჯაოდან, ხოლო თავი კი აქვს მარმარილოსი, თვალები ინკრუსტირებულია[1]. ასეთივე ტექნიკა ცნობილია მცირე, ე. წ. დეკორაციულ ქანდაკების დარგში. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია ბრინჯაოს ქანდაკება ფრთოსანი ლომის ადამიანის ტორსისა და თავის გამოსახულებით; ქანდაკების სხეულზე დაკრული ყოფილა ზემოდან ოქრო, რომელიც ზოგან კარგად შენახულა. ქანდაკების პირისახე გამოკვეთილია თეთრი ჯიშის ქვიდან, წარბები და თვალები კი ინკრუსტირებულია[2].

ერმიტაჟში დაცულია ფრთოსანი ხარის გამოსახულება, რომელიც იმნაირივე წესითა და მასალით არის დამზადებული, როგორც უკვე აღწერილი ქანდაკება. ასეთივე ქანდაკება დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში[3]. ერთი სიტყვით, ქანდაკების დამზადება სხვადასხვა მასალიდან წარმოადგენს ხალდების ხელოვნების დამახასიათებელ თავისებურებას, ეს წესი სხვადასხვა სახით, ზოგ შემთხვევაში შეცვლილი სახით გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში: ირანში, საბერძნეთში და მის უგვიანეს ტრადიციას ჩვენ ვპოულობთ სლავების წარმართულ ხელოვნებაში. რუსულ მატიანეთა ცნობით სლავების წარმართულ პანთეონში

[1] Götze, Kleinasien—Kulturgeschichte des alten Orients, Abb. 16.

[2] Б. Б. Пиотровский, Урарту—древнейшее государство Закавказья, Л. 1939, стр. 39.

[3] Б. Б. Пиотровский, op. cit., стр. 39—40.

მთავარი ადგილი ეჭირა ღვთაებას პერუნს. სლავების მოქცევის ამბავის აღწერისას მატიანე საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს, რომ სლავების მთავარი ღვთაება—პერუნი, ელვა-ქუხილისა და ნაოფიერების ღმერთი გამოსახული ყოფილა ხის კერპის სახით, რომელსაც ვერცხლის თავი და ოქროს ულვაშები ჰქონდა[1]. ამ ღვთაების ჭანდაკება იდგა კიევში პერუნის ბორცვზე (იხ. ნესტორის მატიანე 980 წ.) და ქალაქ ნოვგოროდში (იხ. სოფიის მატიანე 991 წლის ქვეშ). ორივე ჭანდაკება განადგურებულ იქნა ქრისტიანობის მიღებისთანავე, როგორც ამას მხატვრულად აღწერს რუსეთის ძველი მატიანე[2].

ნოვგოროდის მატიანე გადმოგვცემს, რომ პერუნის კერპს ხელთ ეპყრა ლახტი, მდინარე ვოლხოვში გადაგდებულმა კერპმა ხიდზე გადაისროლა ლახტი: «Совлекоша идола в Волхов, а в Перуне бес, и начат кричати: „ох мне, ох, и пловя вниз, вверже палицу на мост"» (Айналов, История русского искусства, Петр. I, 1915, стр. 66—67).

რუსეთის ძველი მატიანეს კენისბერგის ხელნაწერში დაცულია პერუნის კერპის გამოსახულება (ფ. 16, 40 წ.), რომელიც წარმოდგენილია შუბით მარჯვენა ხელში, მარცხენაში-კი ისრები უჭირავს (Айналов, op. cit., стр. 66—67).

დავუბრუნდეთ არმაზის გამოსახულების ანალიზს. ღვთაების გამოსახულების ის ნიშნობლივი თვისებანი, რომელიც ჩვენს წერილობით წყაროებშია აღნიშნული, ერთი მხრით მიგვითითებს იმ ტრადიციაზე, რომელიც უნდა მომდინარეობდეს ხალდური ხელოვნების წრიდან, ხოლო თვით კერპის გარეგნული აღწერილობა მიგვითითებს ელინისტურ ეპოქაზე.

არმაზის ღვთაებას, როგორც აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო წყაროები სთვლის წმინდა ქართულ ეროვნულ ღვთაებად, რომელსაც პირველობა ჰქონდა წარმართულ პანთეონში. ამავე წყაროების ცნობით არმაზს სწირავდნენ ადამიანის მსხვერპლს.

აღნიშნული წესი ადამიანის მსხვერპლად შეწირვისა შესცვალა, როგორც ლეონტი მროველი მოგვითხრობს (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული, გვ. 43) რევ მართალმა. აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ უკვე დიდი ხანია, რაც დადგენილია, რომ ქართველების მთავარი ღვთაება იყო მთვარე, რომელიც წარმოდგენილია მამაკაცის სახით, ქართველი ხალხის აზროვნებაში წმ. გიორგის ძველი წარმართობის დროინდელი მთავარი ღვთაების ადგილი უკავია. მთვარის ღვთაებას, როგორც ამას ადასტურებს სტრაბონის ცნობა (Geographica. lib. XI, стр. III და 7), ადამიანის მსხვერპლს სწირავდნენ ალბანელები და ალბათ მათი მახლობელი მეზობლები იბერიელები (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფილისი, 1928, გვ. 43—54).

ამრიგად, არმაზის სახელწოდებას არავითარი კავშირი არა აქვს ირანული აჰურამაზდასთან. ქართულ მატიანეებს დაუცავთ მთვარის ღვთაების წარ-

[1] А. Фомицын, Божества древних славян, СПБ, вып. I, 1884 г.

[2] Полное собрание русских летописей, II, стр. 258. «И постави кумиры на холму вне двора теремного Перуна древяна, а главу его серебрену, а усы злат, и Хорса, Дажь бога и Стрибога, и Симаргла, и Мокошь».

მართული სახელწოდება. ამ სახელწოდების სადაურობა, შეთვისებულია თუ არა იგი ქართველი ტომების მიერ, თუ იგი პირვანდელი, საკუთრივ ქართულია, დაკავშირებულია თუ არა იგი ეგრეთწოდებულ პროტო-ხეთურ ენასთან, ამას გამოარკვევს მომავალი კვლევა და ის პირები, რომელთა კომპეტენციაში შედის ამ საკითხის გადაჭრა. ჩვენთვის ჯერ-ჯერობით საკმარისია დადგენა იმ ფაქტის, რომ ჩვენ საისტორიო მწერლობას დაუცავს მეტად საყურადღებო ცნობები ქართული წარმართობის შესახებ, ცნობები, რომელთაც ჰქონიათ რეალური ისტორიული საფუძველი.

II

არქეოლოგიური მასალების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული წარმოშობის დამახასიათებელი ნიშნების დადგენის საქმეში. არქეოლოგიური გათხრებისა და აღმოჩენათა მასალებში წარმართული კულტის დამახასიათებელი ღვთაებათა გამოსახულებანი უმთავრესად განისაზღვრება მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებათა სახით. პროფ. ა. ზ ა ხ ა რ ო ვ ი შეეცადა გაერკვია ამ ძეგლთა ერთი ჯგუფი, რომელსაც ფალოსის კულტის ნიშნები ახასიათებს. იგი მიაკუთვნებს მას ეგეოსის კულტურისა და უფრო მეტად კი ხეთური კულტურის და ხელოვნების წრეს[1]. სამწუხაროდ პროფ. ა. ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს ცდას აკლია მტკიცე მეცნიერული საბუთიანობა, მას არა აქვს გარკვეული თვითეული გამოსახულების ვინაობა და ატრიბუტები, მათი ქრონოლოგიური განაწილება და მხატვრული ფორმის ანალიზი, ურომლისოდაც შეუძლებელია მტკიცე მეცნიერული საბუთიანობა, მას არა აქვს ~~გარკვეული თვითეული~~ გამოსახულების ვინაობა და ~~ატრიბუტები, მათი ქრონოლოგიური განაწილება~~ და მხატვრული ფორმის ანალიზი, ურომლისოდაც შეუძლებელია ~~მტკიცე~~ დასკვნის მიღება.

წარმართულ ხანას უეჭველად ეკუთვნის რელიეფი ადამიანის ფიგურის გამოსახულებით, რომლის გარჩევა შეადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ამოცანას. იგი ჩამოტანილია ალბულახის რაიონიდან ა. ფ ლ ო რ ე ნ ს კ ი ს მიერ. ძეგლის ჩამომტანის ცნობით, რელიეფი-სტელა დადგმული ყოფილა კვარცხლბეკზე და მას ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანსა ცემდა როგორც წმინდა გიორგის ხატს. ძეგლი წარმოადგენს კირქვის სტელას, რომელსაც აქვს 80 სმ სიმაღლე, განი 25 სმ. სისქე-კი უდრის 10 სმ. ადამიანის გამოსახულება ამოკვეთილია ქვის ზედაპირზე დაბალი რელიეფის სახით. იგი წარმოადგენს ადამიანის გამოსახულებას მთელი ტანით en face, რომელსაც ორივე ხელი თითქოს გულზე აქვს დაწყობილი. გამოსახულების სხეული გადმოცემულია სქემატიკურ ფორმაში, მეტად ლაკონიურად. ადამიანის სხეულის გადმოცემას ახასიათებს ერთგვარი პრიმიტიულობა. რაც თავის თავად, გამოსახულების ატრიბუტის განხილვის

[1] З а х а р о в, Кавказ, Малая Азия и Эгейский мир (труды секции археологии научно-исследовательского ин-та археологии и искусствоведения 2, Москва, 1928, стр. 35—45).

A. Z a k h a r o v, Etudes sur l'archéologie de l'Asie Mineure et du Caucase (Revue Hittite et Asianique, Paris, 1931, p. 120—128, pl. 9).

გარეშე, არ გვაძლევს ზუსტ ნიშნებს ძეგლის დათარიღებისათვის. გამოსახულების სტილის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი შემდეგია: სხეული მოცემულია სქემატიკურად, სხარტ პრიმიტიულ ფორმაში, დაბალი რელიეფის სახით; ხელები, ფეხების ორივე ტერფი და ყურები სხეულთან შედარებით დიდია და ჩვეულებრივი პროპორციულობის კანონს არღვევს. პირისახე, როგორც ამას ადასტურებს ძეგლის დაკვირვება, არ ყოფილა დამუშავებული ოსტატის მიერ: თვალები, ცხვირი და ბაგე არ არის მოხაზული. ძეგლი მოღწეულია ჩვენამდე დაუზიანებლად; აღნიშნულ გარემოებას სჭირდება ახსნა-განმარტება. გულმკერდი გადმოცემულია სტილიზირებული რელიეფური წრის საშუალებით, რაც წარმოადგენს ძუძუს პირობითს გამოსახვას ადრინდელი ხანის ხელოვნებაში. ამგვარად გადმოცემულია გულმკერდი ყაზბეგში ნაპოვნ მცირე ხანის ბრინჯაოს ქანდაკებაზე (Tallgren, Caucasian monuments. The Kazbek Treasure, Eurasia septentrionalis antiqua. V, p. 129—130) და ჭუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქანდაკებაზე (ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმომხილველი ტფ. 1926, გვ. 128—129).

საერთოდ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ჩვენი ძეგლის სტილი ზოგადი ნიშნებით მჭიდროდ ენათესავება ჩვენში ნაპოვნ მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებათა განსაზღვრულ ჯგუფს, რომელთა სტილი მოგვაგონებს ტ ა ლ გ რ ე ნ ი ს ა და ა. ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს აზრით (Zacharov, op. cit., p. 120—128) ხეთური წარმოშობის მცირე პლასტიკის ძეგლებს. ჩვენი ძეგლი კი უფრო მეტად ჰგავს ჩვენში ნაპოვნ მცირე ზომის ბრინჯაოს ქანდაკებებს, რომელთა ზუსტი თარიღი ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის და მათი შესწავლა ჯერ-ჯერობით ზოგადი შენიშვნების ფარგლებს არ გაცილებია. სამწუხაროდ მასალის უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია აღნიშნული რელიეფის შედარება ამავე ხანის ქართული პლასტიკის სხვა ძეგლებთან; მომავალში კი მოსალოდნელია ახალი მასალების აღმოჩენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ ადრინდელი ხანის ქართული პლასტიკის შესწავლა.

ჯერ-ჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ატრიბუტების განხილვით, რომლებიც მოცემულია ჩვენს ქანდაკებაზე. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ქანდაკებაზე გამოსახული ფიგურის თავსაბურავი. თავსაბურავს აქვს ზოგადი კონუსისებური ფორმა, რომელსაც ბოლოში აქვს წკვეტიანი ორი ქიმი. კონუსისებური ფორმის თავსაბურავი მიღებული თვალსაზრისის თანახმად ცნობილია ფრიგიული წარმოშობის ნიშნად. ხოლო ფრიგიული ტიპის თავსაბურავი, რომელსაც ქვეით აქვს ორი წკვეტიანი ზემოთ აწეული ქიმი, ცნობილია ხეთური წარმოშობის გლიპტიკის ძეგლებზე (Contenau, La glyptique Syro-Hittitte, P. 1922. fig. 154, 155, 163). ქიმიანი თავსაბურავი არის ღვთაებათა ატრიბუტი ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებაში, დაწყებული ურის ეპოქიდან (Contenau, op. cit., p.26—28). იგი დაკავშირებულია რქოსან თავსაბურავთან. ხეთური რელიეფის შესწავლა-კი არკვევს, რომ კონუსისებური ქიმიანი თავსაბურავი აუცილებელი ატრიბუტია მთვარის ღვთაებისათვის. მართლაც იასილიკაის რელიეფზე გამოსახულია მთვარის ღვთაება ამგვარი თავსაბურავით. იგი გამოხატულია უწვერულვაშო ჭაბუკის სახით, რომლის კონუსისებური თავსაბუ-

რავის ქვედა ნაწილი გამოსახავს ახალ მთვარეს (Perrot et Ghipiez, Histoire de l'art dans l'antiquité, t. VI, P. 1887, p. 623, pl. VIII—D). მთვარის გამოსახულებას ერთს ხელში ჰქონდა ისე, როგორც დანარჩენ მთავარ ღვთაებათა გამოსახულებათ იასილი-კაიას რელიეფზე სახელის აღმნიშვნელი იეროგლიფური ნიშანი-წარწერა, რომელიც არ შენახულა. მთვარის ღვთაებას ტანს აცვია მოკლე შესამოსელი, როგორც პირველ რიგში გამოსახულ მთავარ ღვთაებას. ზურგს უკან მას აქვს ორი მაღლა ამართული ფრთა (Contenau, La civilasation des Hittites et des Mitannienes, P. 1934, p. 202). არსლანთეფეს რელიეფებზე გამოსახულია აგრეთვე მთვარის ღვთაება (Coutenau, op. cit., p. 112). მთვარე ამ შემთხვევაში გამოსახულია გრძელი ასურული ტიპის შესამოსელში, იგი წვეროსანია იმ წესის თანახმად, რომელიც მიღებული იყო ასურულ ხელოვნებაში ღვთაებათა გამოსახულების მიმართ. თავსაბურავი ახალი მთვარის ნიშნით და ფრთები ამავე გამოსახულებას ისეთივე აქვს, როგორც იაზილი-კაიას რელიეფს. ჩვენი დაკვირვებით არსლან-თეფეს რელიეფი დიდ გაელენა განიცდის ასურული ხელოვნებისას, იგი უნდა იყოს შესრულებული არა უადრეს VIII ს. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და გაცილებით უფრო გვიან ხანას უნდა ეკუთვნოდეს, ვიდრე იაზილი-კაიას რელიეფები. იაზილი-კაიას რელიეფებზე მთვარის ღვთაების შემდეგ გამოსახულია ორი ფიგურა ადამიანისა და ცხოველის ატრიბუტებით, რომელთაც ხელში უჭირავთ საგანი, რომელსაც აქვს ახალი მთვარის ფორმა ზემოთ აწეული ქიმით. Contenau-ს აზრით ეს უნდა იყოს მრგვალი მაგიდა „საყდარი" მსხვერპლის შესაწირავი (Contenau, op. cit., p. 202—203). მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ აქ უნდა იყოს გამოსახული მთვარე, რომელიც ხელთ უჭირავს ორ ფანტასტიკურ არსებას ნახევრად ადამიანისა და ნახევრად ცხოველის ატრიბუტებით შემკულს. ამ გამოსახულების შემდეგ მოცემულია მთელი ფრიზი მცველების ერთსა და იმავე სამოსელში, რომელთაც თავზე ჰბურავთ მაღალი დაღარულ კონუსისებური ქუდი, ხელში აქვთ სატევარი, რომელიც ნამგალს მოგვაგონებს (Weber, L'art hittite, P. 1922. fig. 32). სატევრის ნამგლისებური ფორმა ცნობილია ადრინდელი ხანის ხელოვნებაში, როგორც რიტუალური დანიშნულების იარაღი ალმოსავლეთის ყველა ქვეყანაში და, როგორც ირკვევა, იგი დაკავშირებული ყოფილა მთვარის ღვთაების კულტთან (A. Jeremias, Handbuch der altorientalischen Geisteskultur, B. u. L., 1929. S. 359). ბაბილონისა და სუმერების რელიგიურ წარმოდგენაში მთვარის ღვთაების «Sin»-ის სიმბოლიურ ნიშნად ითვლებოდა ახალი მთვარე თავის წვეტიანი ქიმებით. იარაღით, რომელსაც ჰქონდა ნამგლის ფორმა და მოგვაგონებდა ახალ მთვარეს, ღვთაებამ «Sin»-მა დასძლია ბნელი ძალა. ამ მოყვანილობის იარაღს gamlu ანუ namşu ეწოდებოდა. ჩვენში არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია რამდენიმე ცალი ბრინჯაოს ნამგლისა, რომელიც მოღწეულია დაზიანებული სახით. ნამგლის პირის მცირე ზომა გვაფიქრებინებს, რომ მას უნდა ჰქონოდა რიტუალური დანიშნულება და არა პრაქტიკული. ასეთივე სიმბოლიური მნიშვნელობა ჰქონდა ღვთაება Sin-ის მეორე იარაღს შვილდს kaštu-ს, რომლის ფორმა აგრეთვე მთვარეს მოგვაგონებს (A. Jerimias, op. cit., S. 259). იაზილი-კაიას რელიეფების დიდი ნაწილი, დაწყებული მთვა-

რის ღვთაების გამოსახულებით და დამთავრებული მცველთა ფრიზით, უნდა იყოს სიუჟეტი, რომელიც მთვარის ღვთაების კულტთან იყო დაკავშირებული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დიდ ადგილს, რომელიც დათმობილი აქვს აღნიშნული თემის გამოსახვას იაზილი-კაიას რელიეფებზე, მაშინ ნათელი იქნება ჩვენთვის, რომ მთვარის კულტს განსაკუთრებული სიპატიო ადგილი ეჭირა ხეთების რელიეფურ წარმოდგენაში.

ჩვენი რელიეფის მარცხენა მხარეზე გამოხატულია სწორედ შვილდი. მცირე ზომის შვილდი გავრცელებული ყოფილა ხეთურ სინამდვილეში, რადგანაც იგი ხშირად გამოსახულია ხელოვნების ძეგლებზე (Pottier, L'art hittite, P. 1922, fig. 91, p. 78). შვილდის ბოლო ჩვენს რელიეფზე მოხრილია სწორედ იმნაირად, როგორც ეს გამოსახულია ზემოთ დასახელებულ ხეთურ რელიეფებზე. აღსანიშნავია, რომ შვილდის ლარი ოსტატს არ აღუნიშნავს. უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ხანჯლის გამოსახულება. ხანჯალს აქვს ჰორიზონტალურად გაშლილი ფოჩი, რომელიც მიმაგრებულია ტარზე. ამგვარი მოტივი კარგად ცნობილია ხეთურ ხელოვნებაში (Pottier, op. cit., fig. 102, 101, pl. VII). უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს თვით ხანჯლის მოყვანილობა. ამგვარი მოკლე ხანჯალი და თვით ტარის მოყვანილობა, რომელიც უთუოდ უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული პირთან, ცნობილია განვითარებულ ბრინჯაოს ხანაში ეხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (Zakharov, Etudes sur l'archéologie de l'Asie Mineure et du Caucase, Revue hittite, P. 1931, p. 134). განსაკუთრებით ახლოა ჩვენს ხანჯალთან ის ხანჯალი, რომელიც გამოცემულია ა. ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს მიერ დასახელებულ ნაშრომში, № 5.

მოსკოვის ისტორიულ მუზეუმს მოეპოვება სულ ხუთი ცალი ამგვარი ტიპის ბრინჯაოს ხანჯლისა, რომელიც შეძენილია თბილისში. მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია 8 ცალი აღნიშნული ტიპის ბრინჯაოს ხანჯლისა. არქეოლოგ გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს ცნობით, მათი გავრცელების ქრონოლოგიური საზღვრები ზოგადად გარკვეულია სამარხების ინვენტარის საერთო შესწავლიდან ამავე პირის მიერ და განისაზღვრება XII—XIII ს. ფარგლებით (ჩვ. წელთაღრიცხვამდე).

ქანდაკების თავის ორივე გვერდით გამოსახულია ორი შტანდარტი ზუბის ფორმით. ამგვარი შტანდარტის გამოსახულება ცნობილია ბაბილონში მეფის სარკოფაგში ნაპოვნ ოქროს სამკაულზე (იხ. Jeremias, op. cit., Abb. 70, S. 78). რომელზედაც გამოსახულია ქალაქის ბჭე ორ გოდოლთა შორის, რომელთა წინაშე გამოსახულია მთვარის ღვთაების ისეთივე შტანდარტი. როგორც მოცემულია ჩვენ რელიეფზე.

გამოსახულების ატრიბუტების შედარებითი შესწავლა არკვევს. რომ ჩვენი რელიეფი გამოსახავს მთვარის ღვთაებას, რომელსაც ძველად „ორმაზი" ეწოდებოდა. ძეგლის სტილი, როგორც ზემოთ იყო დასაბუთებული, მჭიდროდ ენათესავება ბრინჯაოს ხანის მცირე პლასტიკის ძეგლებს. ძეგლის თავისებური პრიმიტიულობა ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ იგი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დღემდე ცნობილ ბრინჯაოს მცირე ქანდაკებათა იმ ჯგუფს, რო-

მელიც ჯერ-ჯერობით ცნობილია ჩვენ არქეოლოგიურ ლიტერატურაში. ამავე დროს იგი გაცილებით უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე ის გამოსახულება მთვარის ღვთაების, რომელიც ასე მხატვრულადაა აღწერილი ჩვენ უძველეს მატიანეში. შეჯამება რეალების შესწავლისა არკვევს რელიეფის ქრონოლოგიურ საზღვრებს, იგი უნდა მივაკუთვნოთ XII—X ს. (ჩვენს წელთაღრიცხვამდე).